



SIGMA

**Support for Improvement in Governance and
Management**

A joint initiative of the OECD and the European Union,
principally financed by the EU

შემოსავლების შესახებ კანონმდებლობის გაუმჯობესება ეფექტური რეგულირების მიღწევის მიზნით

კონფერენცია თემაზე:

„ფინანსთა სამინისტროს იურიდიული სამსახურის ორგანიზაცია:

ევროკავშირის

ქვეყნების გამოცდილება”

თბილისი

საქართველო

25-26 სექტემბერი, 2009

საკონფერენციო თემა მოამზადა

ედვარდ ღონელანმა

სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი,

ადვოკატი, „სიგმა“-ს მთავარი მრჩეველი

This document has been produced with the financial assistance of the European Union. The views expressed herein are those of the author and can in no way be taken to reflect the official opinion of the European Union, and they do not necessarily reflect the views of the OECD and its member countries or of the beneficiary countries participating in the Sigma Programme.

შემოსავლების შესახებ კანონმდებლობის გაუმჯობესება ეფექტური რეგულირების მიღწევის მიზნით

შინაარსი

წინამდებარე მოხსენებაში მიმოვიხილავთ მოსაზრებებს, რომლებიც ასახულია ჩემს მიერ მომზადებულ პრეზენტაციებში „სიგმა“/ფინანსთა სამინისტროს პროგრამის ფარგლებში 2009 წლის 25-26 სექტემბერს თბილისში გამართულ კონფერენციაზე. ევროკომისიამ და ევროკავშირის მრავალმა ქვეყანამ შეიმუშავეს გარკვეული მიდგომები სამოქმედო კურსისა და კანონშემოქმედების გაუმჯობესების მიზნით. ხსენებული მიდგომები მოიხსენიებიან „გაუმჯობესებული რეგულირების“ სახელით და მოიცავენ სპეციფიურ სამოქმედო კურსებს, ინსტიტუციონალურ განვითარებასა და ცვლილებებს და გარკვეული მეთოდების გამოყენებას.

გაუმჯობესებული რეგულირება აუცილებელია მრავალი მიზეზის გამო. განსაკუთრებით კი, შემოსავლებისა და საგადასახადო პოლიტიკის განვითარებისა და მისი გატარების თვალსაზრისით. მოქალაქეთა და მეწარმეთა უდიდეს ტვირთს წარმოადგენენ გადასახადები. საგადასახადო ფინანსური ტვირთი ის საკითხია, რომელიც შესაძლებელია ან/და არ არის შესაძლებელი დაექვემდებაროს რაიმე ცვლილებას. თუმცა, ცვლილებას ექვემდებარება მხოლოდ ტვირთის დაკისრების მეთოდები და ფისკალური ვალდებულებების შესახებ მოქალაქეთა ინფორმირების გზები.

შესავალი

თანამდეროვე სახელმწიფოები მრავალი სახის საქმიანობას ეწევიან. მთავრობის ზრდის მის პროპორციულად გაიზარდა პოლიტიკური ზეწოლა უფრო კომპეტენტური პოლიტიკური კურსის შემუშავებისა და უკეთესი კანონშემოქმედების თვალსაზრისით. მთავრობის ზრდასთან ერთად საგადასახადო ტვირთიც იზრდება, რის გამოც შესაბამის ქვეყნებში მთავრობები ეძიებენ ეფექტური მმართველობის განსახორციელების გზებს. ეს ხელშესახები ხდება მმართველობის პროცესების გაუმჯობესების საერთო და სექტორულ დონეზე მომსახურების გაწევის ეფექტიანობისა და სიმარტივის თვალსაზრისით.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია

1997 წელს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ (ეთგო) შეიმუშავა რეგულირების ხარისხისა და აღსრულების სახელმძღვანელო პრინციპები (მონაცემი 1), რომელიც განახლებულ იქნა 2005 წელს. ორგანიზაციის სხვადასხვა წევრ ქვეყნებში წლების განმავლობაში წარმართულმა რეგულაციური კონტროლის შესახებ კვლევებმა გამოავლინეს მრავალი სახის სამოქმედო კურსი მთავრობის ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით.

მონაცემი 1

ეთვო-ს სახელმძღვანელო პრინციპები ხარისხისა და შესრულების რეგულირებასთან დაკავშირებით

1. პოლიტიკური შინაარსის რეგულირების რეფორმების ფართო მოცულობის პროგრამების შემუშავება განხორციელებისათვის გასაგები ამოცანებითა და საქმიანობებით.
2. რეგულირებისა და მისი ზეგავლენის სისტემატიური შეფასება დასახულ მიზნებთან ეფექტიანი და ეფექტური შესაბამისობის დადგენის მიზნით რთულ ეკონომიკურ და სოციალურ პირობებში.
3. რეგულაციები, მარეგულირებელი ინსტიტუტები და რეგულირების პროცესი ინდა უზრუნველყოფდნენ გაჭვირვალობასა და დისკრიმინაციის აღმოფხვრას.
4. საჭიროების შემთხვევაში მოქმედების ფარგლების, ეფექტურობისა კონკურენციის პოლიტიკის გადახედვა და გაძლიერება.
5. ყველა სექტორში ეკონომიკური რეგულირების შემუშავება კონკურენციისა და ეფექტიანობის სტიმულირებისათვის. ხოლო მსგავსი რეგულირების გაუქმება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მტკიცდება ფართო საზოგადოებრივი ინტერესებისადმი მათი სამსახურის მართებულობა.
6. ვაჭრობისა და ინვესტირების რეგულირებისას უსარგებლო ბარიერების მოსპობა მუდმივი ლიბერალიზაციის გზითა და რეგულირების პროცესში ღია ბაზრის პრინციპის გათვალისწინება და მისი ინტეგრირება, რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ეფექტიანობასა და კონკურენტუნარიანობის დამკვიდრებას.
7. სხვა პოლიტიკურ ამოცანებთან მნიშვნელოვანი კავშირის დადგენა და ამ ამოცანების განსახორციელებლად შესაბამისი მოქმედების კურსის შემუშავება.

ეროკავშირი

წლების განმავლობაში ეროკავშირმა შეიმუშავა კანონმდებლობა, რომელიც შიდა ბაზრის მოწყობის გზით ხელს უწყობს ეკონომიკურ განვითარებას, გარემოს დაცვას და სოციალური სტანდარტების გაუმჯობესებას. ხსენებული ამოცანების განხორციელების შემდეგ ნათელი გახდა, რომ შესაბამის რეგულირებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეფექტურობა.

ლისაბონის განახლებული სტრატეგიის მიხედვით, რომელიც ზრდასა და დასაქმებაზეა ორიენტირებული, კომისიამ შეიმუშავა რეგულირების ფართო სტრატეგია, რომელიც ითვალისწინებს სოციალურ და გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ ამოცანებსა და მოქალაქეებისა და ეროვნული მთავრობებისათვის მეტი სარგებლობის მოტანას. ევროკავშირის ახალი რეგულირება მიზნად ისახავს არსებული რეგულირების გამარტივებასა და გაუმჯობესებას, ახალი რეგულაციების უკეთ შემუშავებას, კანონების ეფექტურობასა და მათდამი პატივისცემის გაუმჯობესებას ევროკავშირის მიერ აღიარებული პროპორციულობის პრინციპის დაცვის გათვალისწინებით.

რეგულირების განახლებული სტრატეგია ეფუძნება სამ ძირითად მიმართულებას. ესენია:

- ევროკავშირის დონეზე რეგულირების გაუმჯობესებული მეთოდების შემუშავებისა და გამოყენების ხელშეწყობა, რაც გამოიხატება გამარტივებაში, ადმინისტრაციული ტვირთის შემცირებასა და ზეგავლენის შეფასებაში.
- წევრ ქვეყნებთან უფრო ახლო ურთიერთობა გაუმჯობესებული რეგულირების პრინციპების ევროკავშირის მარეგულირებელთა მიერ ერთგვაროვნად გამოყენების მიზნით.
- ევროკავშირისა და ეროვნულ დონეზე დაინტერესებულ პირებსა და ყველა მარეგულირებელს შორის კონსტრუქციული დიალოგის განმტკიცება.

გაუმჯობესებული რეგულირება წარმოადგენს მოქმედების კურსს, რომლის მიზანია (მოქმედი და მომავალი) კანონმდებლობის სიმარტივისა და ლაკონურობის შესაძლებლობის ფარგლებში უზრუნველყოფა, არსებული რეგულაციების შესაბამისობაში მოყვანა სხვადასხვა საჯარო ინტერესებთან, მოქალაქეთა და მეწარმეთათვის დაკისრებულ ვალდებულებებთან.

როგორ მიიღწევა გაუმჯობესებული რეგულირება?

გაუმჯობესებული რეგულირება მიიღწევა სამოქმედო კურსის, ინსტიტუტებისა და მეთოდების საშუალებით. ზემოთ მაგალითის სახით აღწერილ იქნა ევროკომისიის მოქმედების კურსი. აღსანიშნავია გაერთიანებული სამეფოს მთავრობის მიერ შემუშავებული რეგულირების ხუთი სტრატეგიული პრინციპი, რომელთა მიხედვითაც რეგულირება უნდა იყოს:

- გამჭვირვალე
- ანგარიშვალდებული
- პროპორციული
- ერთგვაროვანი
- მიზანზე ორიენტირებული იმ შემთხვევებში, სადაც მოქმედების საჭიროება ვლინდება

ნიდერლანდებში განსაკუთრებული ყურადღება იქნა მიქცეული ადმინისტრაციული ხარჯების გაანგარიშებას, რისთვისაც გამოყენებულ იქნა გაანგარიშების სტანდარტული მოდელი მეწარმეთათვის ადმინისტრაციული ტვირთის 25%-ით შემცირების მიზნით. იტალიამ და ბელგიამ ასევე განახორციელეს ადმინისტრაციული პროცედურების გამარტივება.

ინსტიტუტები

მრავალმა ქვეყანამ გააცნობიერა უკეთესი რეგულირების მიზნით სპეციფიური ინსტიტუტების ჩამოყალიბების საჭიროება, რაც შესაძლებელია გამოიხატოს თუნდაც სამკაცრიანი განყოფილების შექმნით, როგორცაა დუბლინის პრემიერ-მინისტრის სამსახურის გაუმჯობესებული რეგულირების განყოფილება და გერმანიის „ნორმენკონტროლატი“, რომელიც ზედამხედველობას უწევს მინიმალური ადმინისტრაციული ტვირთის პრინციპის უზრუნველყოფას კანონმდებლობაში. ნიდერლანდებში არსებობს დამოუკიდებელი ორგანო, „აქტალი“, რომლის ფუნქციას შეადგენს ადმინისტრაციული ტვირთის შემცირების პროგრესის უზრუნველყოფა.

ინსტიტუციონალური მოწყობა ძალიან სპეციფიურია ყოველი ქვეყნისათვის. თუნდაც ორი მეზობელი ევროპული ქვეყანას შორის არსებობს განსხვავებული მიდგომები ადმინისტრაციული ტვირთის შემცირებისა და გაუმჯობესებული რეგულირების თვალსაზრისით. გერმანული და ჰოლანდიური მოდელები ხასიათდებიან ერთგვარი მსგავსებით:

- მათი დამოუკიდებლობა დადგენილია კანონით;
- ორივე მათგანს გააჩნია პარლამენტის პოლიტიკური მხარდაჭერა;
- ორივე მათგანს გააჩნია მანდატი განახორციელოს სამინისტროების დანახარჯებზე მონიტორინგი;
- არცერთ მათგანს არ აქვს ნორმატიული აქტების კანონიერების შეფასების უფლებამოსილება;
- ორივე მათგანს გააჩნია მეთოდოლოგიის გაუმჯობესების შესახებ რეკომენდაციების წარდგენის შესაძლებლობა.

განსხვავება „აქტალსა“ და „ნორმენკონტროლატს“ შორის მდგომარეობს შემდეგში:

განსხვავება	„აქტალი“	„ნორმენკონტროლატი“
პერსონალი	3	8
საქმიანობის ვადა	2009 წლის ბოლომდე	განუსაზღვრელი
ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	სრული ხელმისაწვდომობა	ხელმისაწვდომია „ამთშილფეს“ (კანონი, რომელიც სამინისტროებს ავალდებულებს თანამშრომლობას) საფუძველზე

მეთოდები

რეგულირების გაუმჯობესების თვალსაზრისით ბოლო წლებში შემუშავდა სამი ძირითადი მეთოდი: ზეგავლენის შეფასება, კონსულტაცია და გამარტივება.

ზეგავლენის შეფასება

ზეგავლენის შეფასების ტერმინი გულისხმობს მეთოდებსა და პროცესებს, რომლებიც გამოიყენება სხვადასხვა საქმიანობების (პროექტების) უპირატესობებისა და უარყოფითი მხარეების მოცულობითი ანალიზისას. ზეგავლენის შეფასება გულისხმობს სისტემურ საქმიანობას, რომლის დროსაც შეფასებები, მეთოდები და შედეგები წარმოდგენილია იმგვარად, რომ შესაძლებელი იქნას სხვა ანალიტიკოსთა მიერ მათი გადამოწმება. ზეგავლენის შეფასების მეთოდის ერთერთ სირთულედ ითვლება ღირებულებისა და მიღებული სარგებლის რაოდენობრივი გამოსახვა. მაგალითად, რეგულირების განხორციელებით რა დაჯდება ადამიანის სიცოცხლის შენარჩუნება?

ევროკომისია მიიჩნევს, რომ ახალი სამოქმედო კურსის პროექტთა ხარისხისათვის ყველაზე ეფექტური საშუალებაა მათი შემუშავებისათვის პასუხისმგებელ პირთათვის პასუხისმგებლობის დაკისრება ზეგავლენის შეფასების თვალსაზრისითაც.

ამ მიზნით კომისიამ შეიმუშავა ზეგავლენის შეფასების ფართო მოცულობის სისტემა, რომელიც ეფუძნება ინტეგრირებულ მიდგომას და აფასებს ღირებულებასა და სარგებლიანობას. ამას გარდა, მოიცავს შესაძლო ახალი ინიციატივების ყველა მნიშვნელოვან ზეგავლენას ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოს დაცვის სფეროებზე.

სხვებზელი მიდგომა უზრუნველყოფს კომისიის შესაბამისი უნარების გამოყენებას სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით, რაც თავის მხრივ აუმჯობესებს მოქმედების კურსების კუთხით ახალი ინიციატივების ურთიერშესაბამისობას.

კომისიის სისტემა იმავდროულად ანგარიშვალდებულიცაა და გამჭვირვალეც. იგი ცდილობს მოახდინოს დაინტერესებული პირების სრული ჩართულობა. კომისიის მიერ შესაბამისი პროექტის მიღების შემდეგ ზეგავლენის ყველა შეფასება ქვეყნდება ინტერნეტში.

ევროკავშირის დონეზე ზეგავლენის შეფასება პასუხობს თუ რატომაა აუცილებელი მოცემული მოქმედების განხორციელება და რატომაა შემუშავებული კონკრეტულად მოცემული პროექტი. ასევე, შესაძლებელია განიმარტოს თუ რატომ არ უნდა იქნას გარკვეული მოქმედება განხორციელებული ევროკავშირის მიერ.

ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყანაში ზეგავლენის შეფასება წარმატების სხვადასხვა ხარისხით ხასიათდება. ზეგავლენის შეფასების საგულისხმო ფორმაა ფისკალური ზეგავლენის შეფასება, რომელიც წარმოადგენს ქვეყნის ბიუჯეტზე ახალი კანონმდებლობის ზეგავლენის შეფასების მეთოდოლოგიას.

ეთგომ რეგულირების ანალიზის საფუძველზე დაადგინა, რომ დადებითი ზეგავლენის შეფასება:

- უნდა მოცავდეს ზეგავლენის შეფასების ჩართვას მოქმედების კურსის წრედში და მის პროცესში განხორციელებას საჭიროების მიხედვით გამოსატული სიხშირით, რაც სასურველია მაგრამ იშვიათად მიიღწევა
- და კონსულტაციები უნდა იმყოფებოდნენ ახლო კავშირში ისე, რომ ახალი კანონმდებლობის ანდა მოქმედების კურსის ობიექტი პირები დროულად იყვნენ მათ შესახებ ინფორმირებულნი და ხელი შეუწყონ მათ შემდგომ განხორციელებას,
- განამტკიცებს ლეგიტიმურობასა და უზრუნველყოფს შესაბამისობას,
- სასურველია ცენტრალური ორგანოს მიერ შესწავლილ იქნას შესაბამისობისა და შეთანხმებულობის უზრუნველყოფის მიზნით.

კონსულტაცია

კონსულტაცია გულისხმობს საზოგადოების სტრუქტურირებულ ჩართულობას, რაც ვლინდება დაინტერესებული პირების მოსაზრებათა მოძიებაში, ანალიზსა და გამოსმაურებაზე პასუხის გაცემაში. სტრუქტურირებული კონსულტაციის პროცესი მოიცავს კონსულტაციის მიზნისა და საგნის განსაზღვრას (მაგალითად, ინიციატივა მოქმედების კურსის, რეგულირების ცვლილების, კანონპროექტის შემუშავებისა თუ მომსახურების გაწევის შესახებ). ასევე, გულისხმობს ძირითადი აუდიტორიის დადგენას, რომლის მოსაზრებაც ყურადსაღებია, შესაძლო კითხვების გათვალისწინებას, ინფორმაციის გაცემასა და მიღებული გამოსმაურებაზე საპასუხო რეაგირებას. მნიშვნელოვანია განვასხვაოთ მიმდინრე საკონსულტაციო მექანიზმები (მუდმივმოქმედი კომიტეტების, საბჭოებისა თუ ჯგუფების შექმნა) ერთჯერადი კონსულტაციებისაგან.

თეორიულად კონსულტაცია აუმჯობესებს სამოქმედო კურსისა და კანონმდებლობის ხარისხს საზოგადოების კოლექტიური ინტელექტის გამოყენების საშუალებით. ესაა პროცესი, რომელიც ვითარდება და იცვლება იმისდა მიხედვით, თუ რამდენად მოწადინებულია დემოკრატიული მთავრობა თავისი ქმედებები გახადოს უფრო ლეგიტიმური საზოგადოების გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვის გზით. ამ შემთხვევაში მთავარ გამოწვევას წარმოადგენს უზრუნველყოფილ იქნას ის, რომ პროცესზე მეტი ზემოქმედება არ მოახდინონ უფრო გავლენიანმა ძალებმა და დაცულ იქნას საზოგადოების იმ წრის ინტერესები, რომელთაც უნარი არ შესწევთ მსგავს კონსულტაციებში მიიღონ მონაწილეობა.

ზოგიერთი კონსულტაციას მიიჩნევს ტვირთად, ხოლო სხვანი კი ბოძებულ სიკეთედ. იგი შესაძლებელია ადმინისტრაციული ორგანოსათვის ტვირთს წარმოადგენდეს, რადგან მოითხოვს დიდ ძალისხმევას, მოთმინებასა და ტაქტს საჭიროებების გამოვლენიდან პროექტის გაუმჯობესების გზების გამოვლენის ჩათვლით. იგი შესაძლებელია გარკვეულ ტვირთს წარმოადგენდეს განსაკუთრებით მცირე მეწარმეთათვისაც სწრაფი რეგულირების მიმდინარეობისას.

კონსულტაციისათვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა პროცესისათვის საჭირო დროის რესურსი. ზოგიერთის აზრით, პროცესი დამატებით აუცილებელი კონსულტაციებისათვის შეყოვნების გარეშეც ნელა მიმდინარეობს. ზოგიერთი კი, მისთვის დახარჯულ დროს გამრთლებულად მიიჩნევს.

კონსულტაციისადმი მიდგომა კულტურული სპეციფიკითაც განსხვავებულია. იმ ქვეყნებში, სადაც არ არსებობს კონსენსუსისა და კონსულტაციებში საზოგადოების ჩართულობის ტრადიცია, რთულია განვითარდეს საზოგადოების ჩართულობის სწორი მოდელები იმ ქვეყნებისაგან განსხვავებით, სადაც მსგავსი ტრადიციები მყარადაა ფეხმოკიდებული.

გამარტივება

გამარტივება უკავშირდება კანონმდებლობასა და ოფიციალურ ფორმებში გამოყენებულ ენას. აქტიური მცდელობები იქნა განხორციელებული პროცედურების გაუმჯობესების მიზნით, რაც მრავალ ქვეყანაში გამოიხატა ადმინისტრაციული ტვირთის შემცირებაში. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში შეუძლებელია ტვირთის აბსულუტური შემცირება. მაგალითად, საგადასახადო ტვირთის შემცირების შესაძლებლობები ძალზედ მცირეა. თუმცა, შესაძლებელია ტვირთის შემსუბუქება გასაგები განმარტებითი ინფორმაციის მიწოდების გზით, რაც გადამხდელებს შეაძლებინებს გაიაზრონ პროცედურების არსი და გამოიყენონ ელექტრონული ფორმების შევსებისას. გამარტივების სხვა საშუალებებია კონსოლიდაცია, კოდიფიკაცია და კანონთა იმგვარი სისტემატიზაცია, რომლებიც მცირე დროში შეძლებენ მოხერხდეს მათი დაინტერესებული პირების მიერ გაცნობა.

ადმინისტრაციული სიმარტივე გულისხმობს მოქმედების კურსის, მეთოდისა და ინსტიტუციონალურ რეფორმირებას. მრავალმა ქვეყანამ შეიმუშავა ღირებულების განსაზღვრის სტანდარტული მოდელი, რომლის საშუალებითაც გაიანგარიშება ადმინისტრაციული ტვირთით გამოწვეული ხარჯები მათი შემდგომი შემცირების მიზნით.

თვალსაჩინოა, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით შესაძლებელი ხდება ინფორმაციის გავრცელება და ადმინისტრირების გამარტივება, რაც მოქალაქეებს უადვილებს საგადასახადო ფორმების ელექტრონულად შევსებას დროისა და ძალისხმევების დაზოგვის თვალსაზრისით, ხოლო მთავრობას შესაძლებლობას აძლევს გამონთავისუფლებული რესურსები მიმართოს უფრო პროდუქტიული საქმიანობისაკენ.

ადმინისტრაციული გამარტივებისაკენ სვლამ ამოცანების ახლებურად გადაჭრის საშუალებები შექმნა, რასაც უწინ მეტი ძალისხმევა ესაჭიროებოდა. მძიმე საგადასახადო ტვირთი საჭიროებს განსაკუთრებულ ადმინისტრაციულ გამარტივებას.

მთავრობის მიერ დაწესებული გადასახადები წარმოადგენენ ყველაზე მძიმე ტვირთს მოქალაქეთა და მეწარმეებისათვის, რაც საჭიროებს ძალისხმევას გადასახადების აკრეფის გამარტივებისათვის. გაუმჯობესებული რეგულირების პოლიტიკა შესაძლებელია გამოყენებულ იქნას საგადასახადო პოლიტიკის განხორციელების დროსაც.

დასკვნა

ეთგო-სა და ევროკოვშირის ქვეყნებში ფართოვდება ცნობიერება იმის შესახებ, რომ რეგულაციური გარემო, რომელშიც მეწარმეობა ხორციელდება, ზემოქმედებას ახდენს მეწარმეთა კონკურენტუნარიანობაზე, მათი ზრდისუნარიანობასა და მათ მიერ სამუშაო ადგილების შემქნაზე. ახლა უკვე საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ბიუროკრატიული ბარიერების შემცირებით მთავრობები და ევროკომისია ხელს უწყობენ მეწარმეებს გაუმჯობესდეს მათი კონკურენტუნარიანობა. გაუმჯობესებული რეგულაციური კურსის საგულსხმო თვისებაა ბიზნესისათვის უკეთ რეგულირებული გარემოს განვითარება.

გამოყენებული ლიტერატურა:

სიგმა-ს დოკუმენტები

SIGMA (1997), *Checklist on Law Drafting and Regulatory Management in Central and Eastern Europe*, SIGMA Paper No 15, <http://www.oecd.org/dataoecd/42/21/1823473.pdf>

Regulatory Management Capacities of Member States of the EU that Joined the Union on 1 May 2004 (2007)

[http://www.ois.oecd.org/olis/2007doc.nsf/linkto/gov-sigma\(2007\)6](http://www.ois.oecd.org/olis/2007doc.nsf/linkto/gov-sigma(2007)6)

ეთგო-ს დოკუმენტები

OECD Council, Recommendation of the OECD on Improving the Quality of Government Regulation, 9 March 1995, OECD/GD/ 95(95).

OECD/PUMA, Synthesis Report on Regulatory Reform, 1997:

<http://www.oecd.org/dataoecd/17/25/2391768.pdf>.

OECD/PUMA (2002), *From Interventionism to Regulatory Governance*, PUMA(2002)3,

[http://www.ois.oecd.org/olis/2002doc.nsf/8d00615172fd2a63c125685d005300b5/492ca7053d67be94c1256b73005e6ecb/\\$FILE/JT00121942.DOC](http://www.ois.oecd.org/olis/2002doc.nsf/8d00615172fd2a63c125685d005300b5/492ca7053d67be94c1256b73005e6ecb/$FILE/JT00121942.DOC).

OECD Reviews of Regulatory Reform, Taking Stock of Regulatory Reform: a multidisciplinary synthesis, 2004.

OECD Guiding Principles for regulatory quality and performance, 2005:

<http://www.oecd.org/dataoecd/24/6/34976533.pdf>.

OECD (2006), *Alternatives to Traditional Regulation*, Working Party on Regulatory Management and Reform (OECD) GOV/PGC/REG (2006) 9.

ევროკავშირის დოკუმენტები

Declaration 39 on the quality of the drafting of Community legislation, annexed to the Final Act of the Amsterdam Treaty, 1997.

Mandelkern Group on Better Regulation, Final Report, 13 November 2001:

<http://ec.europa.eu/governance/impact/docs/mandelkern.pdf>.

Joint Practical Guide of the European Parliament, the Council and the Commission for persons involved in the drafting of legislation within the Community institutions, 2003:

http://europa.eu.int/eur-lex/en/about/techleg/guide/index_en.htm.

Inter-institutional Agreement on Better Law Making, 2003:

http://europa.eu.int/eur-lex/pri/en/oj/dat/2003/c_321/c_32120031231en00010005.pdf.

Advancing Regulatory Reform in Europe, A joint statement of the Irish, Dutch, Luxembourg, UK, Austrian and Finnish Presidencies of the European Union, 7 December 2004:

<http://www.hm-treasury.gov.uk/media/95A/52/6presidencies.pdf>.